მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

შენიშვნები და კომენტარები

სს „RMG Copper"-ის მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გაფართოვების პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

3 ივლისი, 2025

წარმოგიდგენთ შენიშვნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებულ სს „RMG Copper"-ის მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (მოპოვების ადგილის/კარიერის ზედაპირის ფართობის ცვლილებების) პროექტის სკოპინგის ანგარიშზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არის 2021 წლის 15 დეკემბერს გამოქვეყნებული სს „RMG Copper"-ის მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის სკოპინგის ანგარიშის თითქმის იდენტური. შესაბამისად, მწვანე ალტერნატივას მიერ წარმოდგენილი შენიშვნების უმეტესობა კვლავაც აქტუალურია. ამასთანავე, გავამახვილებთ ყურადღებას ორ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც საწყის პროექტშივე პრობლემური იყო.

1. დანაწევრებული საქმიანობა

განსახილველად წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის შესავალში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის საფუძველია 2011 წლის 12 ოქტომბერს 30 წლის ვადით, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე", სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის N 13/441 ბრძანებით, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში 187 823, 59 ჰა ფართობზე (ამ მუნიციპალიტეტების საერთო ფართობის 35.9%) ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალებისა და ბარიტის შესწავლა-მოპოვებისათვის.

წლების განმავლობაში კომპანიამ დაანაწევრა და შვილობილ კომპანიებზე გადაანაწილა საწყისი ლიცენზია[1]. 2023 წელს განხორციელებული ბოლო ცვლილებით სალიცენზიო ფართობი განისაზღვრა 8658.1551 ჰექტარით. საგულისხმოა, რომ სკოპინგის ანგარიშს დართული აქვს ლიცენზია 2021 წლის მდგომარეობით, რომელშიც, როგორც კომპანია თავადვე უთითებს, 2023 წელს განხორციელდა ცვლილებები.

[1] 1. ბრძანება №19, 03.10.2011
2. ბრძანება №13/441, 12.10.2011
3. ბრძანება №1973/ს 04.12.2015
4. ბრძანება №1572/ს 23.09.2016
5. ბრძანება №1675/ს, 19.10.2016
6. ბრძანება №280/ს, 09.03.2017
7. ბრძანება №854/ს, 31.05.2017
8. ბრძანება №361/ს, 14.03.2018
9. ბრძანება №666/ს, 31.05.2021
10. ბრძანება №215/ს, 18.02.2022
11. ბრძანება №578/ს, 18.05.2022
12. ბრძანება №658/ს, 07.06.2022
13. ბრძანება №674/ს, 10.06.2022
14. ბრძანება №430, 29.03.2023

greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

სკოპინგის ანგარიშზე თანდართული ხელშეკრულების თანახმად, 2021 წლის 27 სექტემბერს „კავკასიის სამთო ჯგუფმა“ სს „არ ემ ჯი კოპერს“ 2025 წლის 31 დეკემბრამდე იჯარით გადასცა წიაღით სარგებლობის ლიცენზია მუშევანი 2-ის საბადოს ტერიტორიაზე (მთლიანი ფართობი 902.95 ჰექტარი, საიდანაც უშუალოდ სამთო მინაკუთვნის ფართობი 175.8 ჰექტარია).

გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 1 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე სს „არ ემ ჯი კოპერი“ მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს ნაწილზე (≈11.27 ჰა) ღია კარიერული წესით მოიპოვებს წიაღისეულს. ხოლო სააგენტოს 2024 წლის 10 ოქტომბრის სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დამატებით ფართობზე (≈0.77 ჰა) ახორციელებს მაკორექტირებელი ღონისძიებებს.

მიმდინარე პროცედურის ფარგლებში კი კომპანია ცდილობს მოპოვებითი სამუშაოების გაფართოვებას. სს „არ ემ ჯი კოპერი“ უთითებს, რომ „ამ ეტაპზე, აღნიშნული გზშ-ის და სკრინინგის ანგარიშებით გათვალისწინებული ტერიტორიის კონტურს გარეთ გამოვლინდა დამატებითი სასარგებლო წიაღისეულის მარაგები, რომელთან დაკავშირებითაც სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიაზე დასამტკიცებლად წარდგენილია მარაგების განახლებული ანგარიში (იხ. დანართი 1)“. დანართი 1. სახით სკოპინგის ანგარიშს ერთვის მხოლოდ მარაგების კომისიისათვის 2025 წლის 30 მაისს დოკუმენტაციის გაგზავნის თავფურცელი.

იქვე, კომპანია უთითებს: „დამტკიცებული მარაგების მოპოვების მიზნით კომპანია უზრუნველყოფს შესაბამისი გარემოსდაცვითი პროცედურის გავლას“. გაუგებარია, დამტკიცებულია თუ არა მარაგები იმ ტერიტორიაზე სადაც წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშით განიხილება მოპოვების გაფართოვება. უცნობია, ფართობს მოიცავს დამტკიცებული მარაგი და საერთოდ რა გეგმა არსებობს ამ 175 ჰა ფარგლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ 2021 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის თანახმად, „2022 წლის 5 დეკემბერს, მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ დაამტკიცა შემდეგი საბადოები: "კაზრეთი", "იმედი", "მუშევანი 3", "ზვარეთი", "დარბაზი" და "მადნისკლდის"“. **"მუშევანი 3" საბადოს არსებობის შესახებ საზოგადოებისათვის ჯერ არაფერია ცნობილი.**

ყოველივე ზემოთ აღწერილი ნათლად აჩვენებს როგორ დაანაწევრა საქმიანობას ჯერ „კავკასიის სამთო ჯგუფმა“, 2011 წელს მოპოვებული ლიცენზიის ფარგლებში, ხოლო ახლა პროცესს გაფართოვებას. სს „არ ემ ჯი კოპერი“ აგრძელებს უკვე მუშევანის საბადოს ფარგლებში. მწვანე ალტერნატივა საქმიანობის დანაწევრების პრობლემაზე უთითებდა საბადოს ათვისების დასაწყისშივე. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საგანი ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობაა და არა მისი ნაწილი. შესაბამისად, გზშ-ის პროცედურა უნდა გაიაროს ლიცენზიის მთლიან ტერიტორიაზე დაგეგმილმა საქმიანობამ, მიუხედავად იმისა, თუ როდის გეგმავს ან გეგმავს თუ არა საერთოდ კომპანია მთლიანი ტერიტორიის ათვისებას; ის გარემოება, რომ ლიცენზიანტმა გადაწყვიტა ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის ნაწილის ათვისება არ შეიძლება გახდეს საქმიანობის დანაწევრების საფუძველი.

საქმიანობის დანაწევრების შედეგად კომპანია ცდილობს არ წარმოაჩინოს საქმიანობის ზეგავლენა სრულად და საწყის/საბაზისო პროექტში თითქოსდა უმნიშვნელო ცვლილებებით საბოლოოდ განახორციელოს ის რასაც თავიდანვე გეგმავდა. სწორედ ამაზე მიუთითებს სკოპინგის ანგარიშში მოცემული ეს ჩანაწერი დაგეგმილი საქმიანობის აღწერის თაობაზე: „საქმიანობაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 01 ნოემბრის N430/ს ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 10 ოქტომბრის N582/ს ბრძანებით სკრინინგის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებები განიხილება როგორც **საბაზისო პროექტები**. საბაზისო პროექტთან შედარებით სკრინინგის ანგარიშით გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

- მოპოვების ადგილის/კარიერის ზედაპირის ფართობის ცვლილება (ფართობის გაზრდა)
- ფუჭი ქანების სანაყაროს ფართობის ცვლილება (ფართობის გაზრდა)
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საწყობის და პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენების დასაწყობების მოედნის ფართობის ცვლილება
- წყლის მართვის ინფრასტრუქტურის ცვლილება.“

საქმიანობის დანაწევრება კომპანიას შესაძლებლობას აძლევს ზეგავლენის დაფარვის შედეგად დაზოგოს უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისა და თავიდან არიდებისათვის საჭირო ღონისძიებებისათვის საჭირო ხარჯი და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობაში არ გამოიწვიოს ერთბაშად დიდი წინააღმდეგობა. კომერციულ მოგებაზე ორიენტირებული კომპანიის ამგვარი დამოკიდებულება არ არის გასაკვირი, თუმცა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ვალდებულებაა არ დაუშვას მსგავსი პრაქტიკა.

2. მოსახლეობასთან სიახლოვე

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის სასარგებლო წიაღისეულის (მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადო) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ 01/11/2022 N 430/ს ბრძანების თანახმად, „საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. მუშევანი დაშორებულია დაახლოებით 808 მეტრით.

განსახილველ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით კი მიუხედავად იმისა, რომ გაფართოვება სწორედ სოფელ მუშევანის მიმართულებით იგეგმება (ნახაზი 4.1. ინფრასტრუქტურული ობიექტების შედარებითი სიტუაციური სქემა), უახლოესი მოსახლემდე დაშორება გაიზრდება კიდევაც და 817 მეტრი იქნება. მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს დამუშავების პროექტის თანდართული დოკუმენტის თანახმად, კი დაშორება დაახლოებით 900მ იქნება.